F 25/2
1907

# მწყემსი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11

№ 12 1883—1907 წ. 30 ივნისი

## სრულიად საქართველოს სამღვდელოების საყურადღებოდ.

ორმოცი წლის განმავლობაში თვალ ყურს ვადევნებთ საქართველოს სამღვდელოების ცხოვრების მდგომარეობას და მის დამოკიდებულებას თავიანთ სამწყსოსთან. განსაკუთრებით იმის შემდეგ რაც ჩვენი ორგანო „მწყემსი“ დავაარსეთ ძლიერ დაუახლოვდით სამღვდელოებას და მათ სამწყსოთა და ამ ორგანოს წყალობით ადვილად გასაგები შეიქნა ჩვენთვის ყველა ის რაც ძნელი შესატყობი იყო წინეთ. პირველ ხანებში დიდ ნაკლულევანებად მიგვაჩნდა ყველას, რომ ჩვენი სამღვდელოება არ იყო მომზადებული ჯეროვანად თავისი დიდი მოვალეობის აღსასრულებლად და ყველანი დიდის იმედებით მოველოდით სემინარიელების მღვდლების გამრავლებას. სრული დარწმუნებული ვიყავით, რომ სემინარიელ მღვდლების გამრავლება აღა. ყვავებდა და წაღმა დააბრუნებდა საქართველოს ეკკლესიის მიმდინარეობის საქმეს. საზოგადოების სურვილი აღსრულდა, ნასწავლი მღვდლები გამრავლდა. დღეს იშვიათად ნახავთ მღვდელს უსწავლელს. სემინარიელი კურს დამთავრებული კი არა აკადემიკოსებიც გაგვიჩნდენ ქალაქებში...

მაგრამ, საუბედუროდ, ნასწავლი მღვდლების გავრცელებით ჯერჯერობით სამწყსოს ცხოვრების მიმდინარეობაში არავითარი ცვალება სიკეთისაკენ არა სჩანს. რამდენადაც დრო მიდის ისე თან და თან ვრცელდება გულგრილობა სარწმუნოებისა სამწყსოთა შორის, ისე თანდათან მდაბლდება ზნეობა ხალხისა...

გავრცელდენ ბოროტი თესლის მთესავნი, უკეთმართი მოქადაგენი; ქადაგებენ უვიცნი ბალღები, ნასწავლნი, მაგრამ საღმთო წერილის და ღვთის მეტყველების უმეცარნი და უვიცნი. ამისთანა უბედურ დროს მთელი სასულიერო წოდება საზოგადოდ, და განსაკუთრებით პირმეტყველ ცხოვართა მოძღვარნი და მწყემსნი, **დროით და უდროოთ** უნდა უქადაგებდენ სამწყსოთა, მათი ენა დაუცხრომელად უნდა ქადაგებდეს ჭეშმარიტ სწავლა-მოძღვრებას სარწმუნოებასა და ზნეობაზე. მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ? მწყემსნი დადუმებულან და კრინტს არა სძრავენ! იმ დროს, როდესაც გაზეთები სოკოებივით იბადებიან და ხალხში ვრცელდებიან თავისი ჩვეულებრივი სწავლა-მოძღვრებით, უმეტესი ნაწილი სამღვდელოებისა „კურთხევნის“ გარდა არაფერს არ კითხულობს, ზოგიერთი მამები სრულებით ყმაყოფილნი არიან საერო წოდების გაზეთის კითხვით, რომელშიაც სამღვდელოება მთლად მიწასთან არის გასწორებული!.. იმ დროს როცა ბეგელის და მის მსგავს პირთა წიგნაკების თარგმნები ათი ათასობით ვრცელდება სამწყსოში და ახალ თაობას მთლად რყვნის, სამღვდელოება სრულებით ყურადღებას არ აქცევს ამისთანა სამწუხარო მოვლენას და არ მაცადინობს აუხსნას და განუმარტოს უკეთმართი მიმართულება ურწმუნო პირთაგან შედგენილ წიგნაკებისა... რა გასაკვირვალია, რომ ამის შემდეგ სამღვდელოებაზე გული გაუგრილდეს ხალხს და ის პატივისცემა მოაკლოს რომლითაც წინეთ სარგებლობდა. არიან ჩვენ სამღვდელოებაში, მართალია, აქა იქ ისეთებიც, რომელნიც გულით და სულით მოწადინე არიან ჯეროვანი სამსახური გაუწიონ თავიანთ სამწყსოს, მაცადინობენ თვის სიტყვით და წერით შეებრძოლონ უკეთმართ სწავლა მოძღვრებას და ბოროტ მქადაგებელთა, მაგრამ არავითარი დახმარება, არავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარი თანაგრძნობა არა სჩანს მათ მოძმეთაგან...

აი სწორეთ ამ სამწუხარო მოვლენამ გვაიძულა ჩვენ პირველ იანვარს მივქცეულიყავით ჩვენ მოძმეთა და ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანეთადმი შემდეგი მოწოდებით:

**პატივცემულო ამხანაგო!**

„ომიანობის და ბოლოს ხალხის მოძრაობის მიზეზით თვიური და კვირეული, დიდი და პატარა ჟურნალების არსებობა თითქმის მოისპო. ამ ჟურნალების ნაცვლად გამრავლდა დღიური გაზეთები და საზოგადოებაც ამ გაზეთებს მიესია, რადგან ყოველი კაცისათვის მხოლოდ ტელეგრამების ამბები შეიქმნენ საინტერესოდ. ჩვენში ყველა საერო და სასულიერო ჟურნალები ამ მიზეზით სულ მოისპენ გარდა „მწყემსი“-სა.

ახალი ჟურნალების დაარსებაზე არა ერთგზის ჰქონდათ ბაასი სამღვდელოებას და მათ რწმუნებულთაც. სასულიერო ჟურნალის დაარსებაზე ბევრნაირად იფიქრეს და იბაასეს სამღვდელოების სურვილის აღსასრულებლად, მაგრამ საქმით არა გაუკეთებიათ-რა...

ამ უკანასკნელ დროს იმერეთის სამღვდელოების კრებაზე გამოითქვა ის აზრი, რომ ჩვენი ჟურნალი გაგრეგრძელებინა ისე როგორც დღემდის გამოიცემოდა და სამღვდელოებამ აღგვითქვა თავისი მხრით თანაგრძნობა და ზნეობრივი დახმარება. ამაზე ჩვენც სრული თანხმობა გამოუცხადეთ კრებას. ამისათვის ჩვენ განვიზრახეთ მოგმართოთ თქვენ ამ წერილით და შეგატყობინოთ ჩვენი აზრი ჟურნალის გაგრძელების შესახებ.

ოცდა სამი წელიწადი უკვე შესრულდა რაც ჟურნალი „მწყემსი“ არსებობს. როგორ აასრულა ამ ორგანომ თავისი მოვალეობა ამის გადაწყვეტა მიგვინდვია თვით მკითხველისათვის. დღეს თუ ჯეროვანად არ აფასებენ „მწყემსი“-ს ს მსახურს ზოგიერთები, იმედია, ეს პირები და სხვებიც ბოლოს მიხვდებიან თავის შეცდომას...

ოცდა სამი წლის განმავლობაში ჟურნალს არ მიუღია არავისგან არავითარი სუფსიდია და ფულით დახმარება, როგორც სხვები იღებენ. იგი არსებობდა თავის ხელის მომწერთა ფულის შემოსავლით და თვითონ ჩვენის ხარჯით. დახმარებისა და თანაგრძნობის მაგიერ ბევრისაგან, რომელნიც შურით იყვნენ და არიან აღშურვილნი, დაბრკოლებაც ბევრი შეგვხვედრია. მაგრამ, მადლობა ღმერთს, დღემდისინ ჟურნალის საქმე არ დაბრკოლებულა.

ჩვენის მხრით, როგორც დღემდის ისე შემდეგშიაც, როგორც პირველად გვქონდა გამოთქმული, არ დაგვიზოგავს და არც შემდეგში დავზოგავთ ჩვენ შრომას, ქონებას და სიცოცხლეს ჟურნალის კეთილად წარმატებისათვის...

მოგართმევთ რა ამასთან ამა წლის „მწყემსი“-ს მე-22 ნომერს, რომლიდგანაც შეიტყობთ ჩვენს განზრახვას მომავალი წლიდან ჟურნალის გამოცემის შესახებ, იმედი გვაქვს მიიღებთ მონაწილერობას ჟურნალის სახელზე დაარსებულ „მწყემსი“-ს ძმობაში. ვალდებულება ძმობისა არ არის ისეთი რამ, რომლის ასრულების მოვალე არ იყოს ყოველი სამღვდელო და ჭეშმარიტი ქრისტიანე. თვითეული წევრი ვალდებული იქნება: 1) წარმოადგენოს ჟურნალზე ხელის მოსაწერი ფულები სამი მანეთი ერთად, ან დრო და დრო როგორც არის დაბეჭდილი ჟურნალის განცხადებაში.

2) იმეცადინოს შეძლებისა დაგვარად ჟურნალის გავრცელებისათვის, როგორც სამღვდელოებაში ისე საერო წოდებაში.

3) იმეცადინოს რელიგიური, ზნეობრივი და სასარგებლო საკითხავი ფურცლების და წიგნაკების გავრცელებისათვის, რომელთაც მიიღებს რედაქციისაგან უფასოდ და მცირე ფასით ყოველი წევრი და

4) იმეცადინოს ჟურნალის ზოგიერთი შესანიშნავი სტატიების, საკითხავი ფურცლების და წიგნაკების შინაარსი განუმარტოს სამწყსოთა. ამ სახით ყოველი მღვდელი და ნამდვილი ქრისტიანე ერთსა და იმავე დროს შეიძლებს თავის გონების განვითარებას და სამწყსოთა შორის საჭირო და სასარგებლო სწავლა-მეცნიერების გავრცელებასაც.

დიდი იმედი გვქონდა ბლალოჩინების დახმარებისა მაგრამ მწარე გამოცდილებამ დაგვიმტკიცა ჩვენ, რომ ზოგიერთი ბლალოჩინები სრულებით საიმედონი არ ყოფილან ამ შემთხვევაში. ნაცვლად თანაგრძნობისა ზოგიერთმა დაბრკოლებაც ბევრი აღმოგვიჩინეს და წარმოსადგენი ფულები თავის საბლალოჩინო მღვდლებისა თვითონ მიირთვეს და ჩვენ არა ერთ გ'ის მოთხოვნაზე ხმა არ გაგვცეს...

სრული იმედია, რომ თანაგრძნობას გამოგვიცხადებთ, რომელის ასრულება პირდაპირ თქვენთვისვე არის სავალდებულო, სასარგებლო და ფრიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახელო. ფრიად საჭიროა ჟურნალი ჩვენთვის და ერთად მუშაობა, იმ დროს, როცა ყოველი წოდება და ჯგუფი დღეს მიუცილებელ საჭიროდ რაცხვენ დაარსონ ორგანოები, კავშირები და კრებები. უმთავრესი მიზანი ძმობისა იქნება ქრისტიანობის და კეთილ ზნეობის განმტკიცება, დაახლოება მწყემსთა სამწყოსოსთან და მამაშვილური განწყობილების დამყარება მათ შორის სწავლით და შეგონებით. ამას კი ჩვენ სულით და გულით უნდა ვმაკადინობდეთ, რადგან ამისთანა მამაშვილურის განწყობილების დაარსება ჩვენ შორის არავის არ შეუძლია, თუ ჩვენვე არ ვეცდებით და არ განვახორციელებთ საქმით.

იცოდე, ამხანაგო, წინ-და-წინ, რომ სხვანი კრებებს და კავშირებს მართვენ თავიანთ სასარგებლოდ, მაგრამ ჩვენი კრება და კავშირი მიმართული უნდა იყოს ჩვენ სამწყოსოთა საკეთილოდ და საბედნიეროდ. ამას გვავალებს ჩვენ სახარება და ჩვენი თანამდებობა...

ღმერთი შეგვეწიოს ჩვენ ამ კეთილ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად...“

აი ამ მოწოდებით მივიქეცით ჩვენ წლის დამდეგს თითქმის ყველა ქართველ მღვდელთადმი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ესეთი მოწოდება უმეტესს ნაწილ სამღვდელოთათვის დარჩა უყურადღებოდ. სამღვდელოების მცირე ნაწილმა დიდის სიამოვნებით მოისმინა და ხმა გაგვცა თითქმის ყველა საქართველოს კუთხიდან. ზოგიერთების ხმა სიხარულით იყო აღფრთოვანებული, რომ ამ უბედურ დროს ესეთი მოწოდების ხმა ესმისთ მათ სოფლიდან, როცა იგინი მოელოდენ ქალაქების სამღვდელოებისაგან. **შესდგა** ძმობა მწყემსთა, რომელთა რიცხვი დღეს ოთხასამდის ავიდა. შეიტყვეს თუ არა ამ ძმობის მიზანი მაშინვე აღმოსჩნდენ კეთილნი პირნი, რომელნიც დიდი ხანია შედგომილნი არიან კეთილი თესლის თესვას ქრისტეს ყანაში და სამწყოსოსათვის არაფერს არ ზოგავენ სასარგებლო სარწმუნოებრივ ზნეობრივი შინაარსის წიგნების და წიგნაკების გასავრცელებლად. ამ კეთილმა პირებმა, რომელთაც არ სურსთ თავიანთ სახელის და გვარის გამოცხადება გადმოგვცეს ჩვენ 20653 ცალი სხვა-და-სხვა სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის წიგნები და წიგნაკები დასარიგებლად ხალხში. ამას უმატებთ ჩვენ „მწყემსი“-ს რედაქციის გამოცემათა ათი ათას ცალს და სულ იმექონება დღეს 30653 ცალი. „მწყემსი“-ს რედაქცია სულით და გულით სთხოვს ყველა ხელის მომწერთა „მწყემსი„-ს „ძმათა“ მიიღონ ეს წიგნაკები და გაავრცელონ ხალხში. ამასთან შემწირველნი და რედაქცია სთხოვს ყველა მოძმეთა გააცნონ შინაარსი ამ წიგნაკებისა თავიანთ სამწყოსოთა და გაუგებარი ადგილი მათთვის განუმარტონ მათ. თითო ცალი ამ წიგნაკებისა მიიღონ წევრთა თავიანთ სახლის წიგნთ-საცავისათვის, თითო ცალი შეინახონ ეკკლესიის წიგნთ-საცავში, რომელნიც უნდა აჩვენონ ეკლესიის ქონების სიაში და რამდენიმე ცალი უფასოდ დაურიგონ მრევლთა, რომელთაც კითხვა იციან და შეუძლიათ წიგნაკის შინაარსით ისარგებლონ. მართალია მცირეა ჩვენი ძმათა რიცხვი, მაგრამ ამას არავინ უნდა შეუშინდეს. იმედია დღევანდელ შეუგნებელ და დაუდევნელ მოძღვართა ადგილს დაიპერენ შეგნებულნი და ჭეშმარიტნი მოძღვარნი, რომელნიც მზად იქნებიან თავისი სული დასდვან ცხოვართათვის...

დეკ. დ. დამბაშიძე.

P. S. შემდეგ ნომერში იქნება გამოცხადებული თუ როგორ შეიძლება ზემო აღნიშნულ წიგნებთა მიღება ყველა ხელის მომწერთ ძმათაგან. წიგნები არ გაეგზავნება მათ ვისაც „მწყემსზე“ ხელ მოსაწერი ფულები არ ექნება შემოტანილი.

დ.

---

## ნაკლი და საჭიროებანი ჩვენი საქალებო ეპარქიალურ სასწავლებლებისა.

არა მგონია ისეთს ცუდს მდგომარეობაში იმყოფებოდეს ჩვენი სამღვდელოების რომელიმე საქმე, როგორსაც განიცდის სამღვდელოების ქალიშვილთა სწავლა-აღზრდის საქმე. სამღვდელოებას თუ ვაჟებისათვის გვაქვს დაბალი და საშუალო ხარისხის სასწავლებლები, სადაც ასე თუ ისე საშუალება ეძლევა ვაჟებს სწავლა-განათლება მიიღონ, თუმცა ხშირად დამამახინჯებელი, ცხოვრებაში ნაკლები გამოსადეგი, მაგრამ ქალებისთვის ხომ სულ უვარგისი სასწავლებლები გვაქვს! ეს არის საქალებო ეპარქიალური სასწავლებლები ქუთაისში და თფილისში. მოაქვთ რაიმე სარგებლობა ამ სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლებლებს? ჩვენ ვამბობთ: ძლიერ ცოტა, თითქმის არაფერი, კეთილი ნაყოფის მაგიერ ცუდიც...

სწავლა-განათლების საქმე მაშინ არის სასარგებლო და კეთილი ნაყოფის მომცემი, როცა ბუნებრივ რიგიან ნიადაგზე არის დამყარებული. სასწავლებელი მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო, როდესაც მოწაფეს აწვდის ისეთს ცოდნას, რომელიც მისთვის მარჯვე იარაღად შეიქნება ცხოვრებაში საბრძოლველად და რომელიც სამწუხაროდ და სავალალოდ არ დარჩება მის მქონელს და მის გარეშე მყოფთათვის, არამედ სასარგებლოდ და საბედნიეროდ. ხოლო ურიგოდ გაკეთებული საქმე ზარალის მეტს სარგებლობას ვერ მოიტანს. „თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“. გვასწავლიან სიყრმიდგანვე. ჩვენი ქალების სწავლა-აღზრდის საძირკველი, საუბედუროდ, ურიგოდ დაწყებულია. ამაში მალე დავრწმუნდებით თუ გონების თვალით გადავხედავთ ჩვენს სასწავლებლებში აღზრდილ ქალებს. შრომა, დრო და ხარჯი, რომელიც სამოვდელოებას მათზედ აღზრდისათვის მოუდისთ ვერ აკმაყოფილებს საზოგადოებას იმ ცოდნის და მოქმედების მიხედვით, რომელთაც ჩვენ ვამჩნევთ ცხოვრებაში გამოსულ საეპარქიო სასწავლებლებში კურს დამთავრებულ ქალებს.

პირველი მიზანი საეპარქიო სასწავლებლებისა უნდა იყოს, რომ მოწაფე ქალს დაენერგოს გულში ღვთისა და ადამიანის სიყვარული, ესე იგი განუმტკიცოს მას გულში სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სწავლა-მეცნიერება. სამწუხაროდ ვერც ერთს ამას ვერ ვამჩნევთ კურს დამთავრებულ ქალებში. მიზეზი ამისი ბევრნაირია. ყველაზე მეტად აღზრდის საქმეს აბრკოლებს სწავლა განათლების პროგრამმა. ამ სასწავლებელში ასწავლიან მიტროპოლიტის ფილარეტისაგან შედგენილ კატეხიზმოს; ამ წიგნით მოსწავლენი იღებენ სარწმუნოებრივ და ზნეობრივ სწავლა—მეცნიერებასა. ამ სახელმძღვანელოშიდ არის ერთ ალაგას თქმული: არა კაც ჰკლა, რადგან ამას ღმერთი გვიკრძალავს, თვით ქრისტე ღმერთი გვასწავლის: „შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი შენიო“. მეორე ალაგას კი ვკითხულობთ, კაცის მოკვლა კანონიერია და მაშასადამე ცოდვაც არ არის თუ ამას სამართალი თხოულობს, ცოდვა არ არის თუ კაცს კვლენ სახელმწიფოს კეთილდღეობისთვისო და სხვა. ასეთი ახსნა და განმარტება სრულიად ეწინააღმდეგება სახარებასა და ათ მცნებას. ტატიანე ფილოსოფოსი მეორე საუკუნეში, ათინელი ათინაგორი, წმ. კლიმენტი ალექსანდრიელი, შესანიშნავი ორიგენი, ტერტულიანი, წმ. კიბრიანე, ლაკტანცი და სხვ. ყველა წინააღმდეგია კაცის კვლისა ყველას მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნია კაცის კვლა, ამის წინააღმდეგია თვით ბუნება, გონება კაცისა. აქ კი გვეუბნებიან და გვიხსნიან სხვა ნაირად. უეჭველია ასეთი არევ-დარევა, ასეთი განმარტება, სარწმუნოების და ზნეობისა ვერ განამტკიცებს მოსწავლეთა გულში ჭეშმარიტ სარწმუნოებასა და ზნეობას, პირიქით შეურყევს მათ რწმენასაცა და ზნეობასაც. მაგალითს თუ მოვიყვანთ კეთილი საქმე და კეთილი სიტყვა ჩვენშა ერთი მეორეზე ხომ ისე დაშორებულია, როგორც ჩინეთი და საქართველო! და მიტომაც გასაკვირვალი არ არის საეპარქიო სასწავლებლის ქალი თუ ურწმუნო და ზნეობითაც ნაკლები გაწვრთვნილი გამოდის. ურწმუნოება, აი პირველი ნაკლი, რომელიც ემჩნევა ჩვენს ქალებს. ამის მიზეზად მიგვაჩნია უკეთმართობა და არა ბუნებრიობა სწავლის—აღზრდისა.

საღმრთო წერილის ზერელედ შესწავლით და ამ გვარ სწავლაზე დამყარებულ ზნეობის ნაკლულოვანობით აიხსნება ის გარემოება, რომ ეპარქიალურ სასწავლებელში კურს დამთავრებული ქალი ძვირად თუ ჩამოაგდებს სიტყვას სარწმუნოების და ეკკლესიის შესახებ. მას ასეთი საკითხი სამარცხვინოდ და დროს უბრალოდ დაკარგვათ მიაჩნია. „სარწმუნოებამ და ეკკლესიამ,—მოგგიგებსთ კითხვაზე, ასეთი ქალი,—დაჭკარგა დღევანდელს ცხოვრებაში მნიშვნელობა, დღეს ფულია გამეფებული, რას მოგვიტანს რელიგიური დოგმატები, ეხლა მეცნიერების ხანა დადგა, სოციალიზმის განხორციელება არის საჭიროვო“, – დააბოლოვებს სიტყვას. მაგრამ, უბედურება ის ერის, რომ ასეთ ქალებს არც სოციალიზმის გაეგებათ რამე და არც სამღთო წერილისა. უმეტესად ასეთი ქალები არ ჩევენ ტყუვილ უბრალოდ სიარულსა ან „კურსებ. ზე“ წასვლას, საიდანაც უსახსრობის გამო იძულებული ხდებიან სახლში დაბრუნდენ. მაგრამ ვი იმისთანა დაბრუნებას! ასეთი ქალი შინაურ სოფლის ცხოვრების გადარჩეულია, სხვას, თავის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სართობს კი სახლშიდ ვერას ჰპოებს. ბავშვების სწავლა: ერთი რომ სამძიმო საქმეა მათთვის, მეორე იმასაც საფუძვლიანი ცოდნა უნდა. ხელ-საქნარი, ჭრა-კერვა, ფრინველთა მოვლა-მოშენება, აბრეშუმის მოყვანა,—ერთი სიტყვით ისეთი ცოდნა, რომელიც სოფლად გამოსადეგია, მათ არ იციან. და ამიტომ ასეთი ქალი დილიდან საღამომდე პატარძლივით გულზე ხელებ დაკრეფილი ზის სახლში.

უსაქმოდ დარჩენილი, ცოტად განათლებული ქალი ჰკიდებს ხელს „ახალს მეცნიერებას“ და კითხულობს „ახალ მოდის ფურცლებს და წიგნაკებს“ და თავი მოსწონს თუ წაუკითხავს ბებელის წიგნი ქალთა შესახებ და მისივე შეხედულება ქრისტიანობაზე. ხშირად, თუ რაიმე უსიამოვნება შეხვდა ვისმესგან, წყენით იტყვის, ბარბაროსულ პირობებში ვსცხოვრებთ, კაცს არ შეუძლია თავისუფლად სიტყვის თქმაო; და იმას კი არ დაგიდევსთ, რომ ცუდი აზრისა და შეხედულების ქადაგი მავნებელია.

ცოდნა მხოლოდ მაშინ არის სასურველი და სასარგებლო, როდესაც სრულ ჭეშმარიტებას შეიცავს ცხოვრებაში. ბევრ გზით გამოცდილია და კეთილისკენ არის მიმართული, მაგრამ, როცა გახურებული თავი ახლად გამომცხვარ აზრებს ქადაგებს და ცდილობს კეთილის მაგიერ ბოროტება დანერგოს, მაშინ ისეთი მეცნიერება საზოგადოებისათვის მავნებელია. „რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათაგანი, ჩემდა მომართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა, დამოთუ იკიდოს წისქვილი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა“, სახ. მათ. 18, 6, ბრძანებს მაცხოვარი. ხოლო არა თუ ერთი, ასობით და ათასობით ხდებიან მსხვერპლი ერთგვარ ადამიანთა სწავლისა, რომელთა ხალხს ღმერთიც და კაციც შეაძულეს.

აი ასეთი გამოდის დღეს ეპარქიალურ სასწავლებელში კურს დამთავრებული ქალი. მან არ იცის სამღრთო წერილი, პირიქით ეკკლესია და ღვთის მსახურება სძულთ და რაღაც უსარგებლო და მავნე ელემენტებად მიაჩნია, სცდილობს იგი სრულიად დაივიწყოს და ამის გამო სდევნის სიტყვით და წყევა-კრულვით იხსენიებს თვის მასწავლებლებს. ცოდნა, საფუძვლიანი ცოდნა, თუ გინდ საერო საგნებისა, მას ნაკლებად მოეპოება, ხელსაქნარი, რაიმე სამეურნეო ცოდნა მისთვის არ უსწავლებიათ. ბავშვის აღზრდა-მოვლა მას სრულიად არ გაეგება, რაც აუცილებლად უნდა იცოდეს ყოველმა გასათხოვარმა ქალმა, რომელიც კი ოჯახს და დედობას მოელის. მისი ლაპარაკი, მუსაიფი ხშირად უშინაარსო და გაუგებარია, უსწავლელი ადამიანი სოფლისა მისგან სასარგებლოს ნაკლებად გაიგონებს, გარდა რუსულ ენაზე ტიტინისა, რომელიც უბრალო რუსის „დედაკაცებმაც“ კი იციან..

ამიტომ შენიშნავს ეპისკოპოზი ლეონიდი თავის პასუხში სინოდის მიერ დაყენებულ კითხვებზე ეკკლესიის მართვა-გამგეობის შესახებ, რომ ჩვენს მოზარდ თაობაში რუსულ სასწავლებლებიდან ვერ ჰპოებთ სარწმუნოებას, ეკკლესიის სიყვარულს, ყმაწვილები სასულიერო სასწავლებლებიდან ურწმუნო, არას მცოდნე და საზოგადოებისათვის არ სასარგებლო გამოდიანო..

მაგრამ ყოველივე ამაში იმდენად დამნაშავე არ არის მოსწავლე ქალი, რამდენადაც თვით სასწავლებელი და ბავშვი უკუღმართ ნიადაგზე დამყარებული ქალთა სწავლა-აღზრდა.

თუ ჩვენი სასწავლებლის უმთავრესი მიზანი ის არის, რომ მოამზადოს ქალი, რომელსაც შეეძლოს კეთილ გონიერი მეუღლეობა გაუწიოს მღვდელს სოფლად თუ ქალაქად, მაშინ ამ სასწავლებელში უნდა ასწავლიდენ საღმთო წერილს იმ გვარად, რომ მოწაფეებს ნამდვილი სარწმუნოება ჩაუნერგონ გულში და იყოს ჭეშმარიტი ზნეობით აღჭურვილი; განამტკიცონ მათში შიში ღვთისა, რომელიც არის დასაბამი ყოვლისა სიბრძნისა, გაუღვიძონ გულში დედაენაზე მშობლიურ მხარის საფუძვლიანად შესწავლით, სამშობლოს სიყვარული. ამასთანავე ერთად შეასწავლონ ხელობა, რომლითაც მათ გაუადვილდეს ცხოვრება. ღვთისმშობელი მარიამი საღმრთო წერილთან ერთად ხელსაქმიანობასაც სწავლობდა, წმიდა ნინომ მშვენივრად იცოდა საღმრთო წერილი და ექიმობა. ასეთივე უნდა იყვეს ჩვენი ქალების აღზრდაც. თამარ მეფემ პოლიტიკურ მართვა-გამგეობასთან კარგი ხელსაქმიანობაც იცოდა. ამის და გვარად ჩვენმა ქალებმაც აუცილებლად უნდა იცოდენ ხელ-საქმიანობა. ქსოვა, ქარგვა, ჭრა-კერვა, მეურნეობა, მებაღეობა, აბრეშუმის მოყვანა, მეფუტკრეობა, ყველისა და ერბოს კეთება და ბავშვების მოვლა, ეს უკანასკ-

ნელნი აუცილებელ ცოდნას უნდა შეადგენდენ ყოველ მოსწავლე ქალისათვის. მაგრამ საუბედუროდ ის რაც აუცილებლად საჭიროა ყოველი ქალისათვის იმას უფრო ნაკლებად აქვს ყურადღება მიქცეული.

ბევრს ეშხამება სიცოცხლე იმის გამო, რომ სოფლის უმეცარმა ბებია ქალმა რიგიანად ვერ მოუარა მშობიარეს, ბევრი ბავშვი დაბადების შემდეგ ხდება ავად, და ცხოვრებაში ავადმყოფი და სუსტი გამოდის, ბევრიც კი კვდება უცოდინარობის გამო. თუ უბრალო ფრინველმა კრუხმა იცის, როგორ გამოჩეკოს წიწილები და როგორ მოუაროს მათ, ჩვენმა განათლებულმა ქალმა რატომ არ უნდა იცოდეს თავის მოვლა ფეხ-მძიმობისა და მშობიარობის დროს?

ყველა ზემო ჩამოთვლილი ცოდნით უნდა იყვნენ აღჭურვილნი ჩვენი ქალები. სწავლის ასეთ ნიადაგზედ დამყარება შეაყვარებს ქალებს შრომას, ისინი სკოლიდან სრულად მომზადებულნი გამოვლენ ცხოვრებისათვის. საქმის მცოდნე ქალს დრო არ ექმნება ტყუვილ უბრალოდ ჯდომისა და ლაპარაკისა, შრომას მიჩვეული—საქმეს მოითხოვს მისი ხელი. ესეთი ქალის მნიშვნელობა სოფელში დაუფასებელი იქმნება, ის განათლებული გამოჯელი, როგორც დედო ფუტარი, მიიპყრობს გარშემო მაყურებელთა თვალს, მისგან ბევრი უმეცარი გაიგონებს და შეისწავლის ბევრ რამ საყურადღებოს. ღვთის მორწმუნე, გონება განათლებული და გამრჯელი, ნამდვილი დედა იქნება. თუ შვილები ათთუთხმეტ წლამდე დედასთან ცხოვრებენ განუშორებლად, მაშინ შვილებიც, კეთილ-გონიერნი, ჯანსაღი და შრომის მოყვარენი გამოვლენ.

აი ამ გვარად უნდა მოეწყოს სწავლა საქალებო ეპარქიალურ სასწავლებლებში. მაშინ ეს სასწავლებლები ნადვილი განმანათლებელი დაწესებულება იქნება, მაშინ ის უსარგებლო პირებს კი არ შექმნის საზოგადოებისთვის, არამედ ნამდვილ წევრებს, ღვთისა და კაცის სათნოთა და სასარგებლოთა.*)

გან—ხან.

*) დიდ, მართალს ამბობს ავტორი, მაგრამ სად არიან ესეთი მორწმუნე და ნამდვილ კეთილ ზნეობიანი მას. წავლებელნი და აღმზრდელნი? მოსკოვის მიტროპოლიტი ლეონტი ამბობდა: „სემინარიელებს ემდურიან, რომ მტკიცე

## ბათუმიდან ნეაპოლამდე გემით.

(26 მარტი—4 აპრილი)

მგზავრის შენიშვნები

(გაგრძელება*).

31 მარტს ნაშუადღეგის 2 საათზე გემი გავიდა სმირნიდან და პირეისკენ გაემგზავრა. როდესაც გემი გაშლილ ზღვაში შეეიდა გამოჩნდა კუნძული ხიოსი. ხიოსი ძლიერ ნაყოფიერია და ბერძნებით არის დასახლებული. 1822 წ. ოსმალეთის ჯარმა თითქმის სულ გაწყვიტა ამ კუნძულის მცხოვრებლები; შემდეგ მიუახლოვდით კუნძულ ფსერას, რომლის ოცი ათასი ბერძენი მცხოვრებლები 4 ივლისს 1824 წ. ომის დროს სულ გასწყვიტა ოსმალეთის ჯარმა. შემდეგ იწყება მრავალი პატარა კუნძულები ეგეის ზღვისა, რომელთა აწერას არ ექნება დიდი მნიშვნელობა. 1 აპრილს დილის 10 საათზე გემი შეეიდა საბერძნეთის უდიდეს და უმთავრეს ნავთსადგურ პირეაში ქ. პირეაში 70,000 მცხოვრებია, თითონ ქალაქი სივრცეც არ არის დიდი, მაგრამ ბუნებრივი მდებარეობა ძლიერ ხელს უწყობს ნავოსნობის განვითარებას. თავი და თავი ის არის, რომ მას გვერდით უძევს საბერძნეთის დედა ქალაქი ათინა. პირეიდან შეიძლება რკინის გზით წასვლა და ელექტრონის ტრამვაით, სულ 10 ვერსია და იქით-აქეთ ბილეთი 25 კ. ღირს. პირეიდან ათინამდე ელექტრონის ტრამვაი 15 წამს უნდება. ათანაში გადმოხტებით სადგურ მონასტირაკზე და აქედან შეუდგებით ვიწრო გზით მაღალ გორას, რომლის მწვერვალზე აგებულია ძველი ციხე საბერძნეთის აკროპოლისი. ეს დიდებული ნაშთი ძველი საბერძნეთის, ზღვიდან 80 საჟენის სიმაღლეზეა; ძველ დროში აკროპოლისი სასახლე იყო ათინის მეფეებისა, შემდეგ იგი ტაძრათ

*) იხ. მწყემსი № 11 1907 წ.

სარწმუნოება არა აქვსთო, მაგრამ მათ აღმზრდელებს და მასწავლებლებს კი მოეპოებათ მტკიცე სარწმუნოება“?.. ერთ ხალთაში თუ არა ყრიარა მეორეში რას გადიტან... ჯერ უნდა გაჩნდენ მასწავლებლები და აღმზრდელები თა მერე მოვსთხოვოთ მათ აღზრდილებს ის რაც მათ გადასცეს...

ჩვენ ვიცნობთ ერთ საქალებო სასწავლებლის უმფროსს ქალს, რომელიც მთელ თავის ყურადღებას თავის ოთახის მორთვას ანდომებდა, ეკკლესიაში „რომელი ქერაბინთა“-ს და „შენ გიგალობი“-ს გალობის დროს იჯდა და მარაოთი პირსა და მკერდს იგრილებდა... რასარწმუნოება და კეთილ-ზნეობა უნდა ჩაუნერგოს ამისთანა უმფროსებმა მოსწავლეთა?..

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადააკეთეს და შიგ სხვა-და-სხვა კერპების გამოხატულებანი დადგეს, ქრისტიანობის შემოსვლის დროს იგი ისევ ტაძრად გადააკეთეს. მე-15 საუკუში ოსმალებმა მეჩეთად გადააკეთეს. 1687 წ. როდესაც ბერძნებს ვენეციანელები ეომებოდენ მთავარი ტაძარი პართენონი ზარბაზნებით იქმნა დანგრეული. 1814 წ. ინგლისელებმა ლონდონის მუზეუმში გადაზიდეს ნაშთები, რაც ბარბაროსებს გაუნადგურებელი დარჩათ. ამ ჟამად პართენონის ნანგრევები კიდევ დარჩენილია. აკროპოლისის ნანგრევები სულ მარმარილოსაგან შესდგება. შიგვე სდგანან მოსამსახურენი, რომელნიც 30 კაპ. სულ ყველა ნაწილებს დაგატარებენ და გაჩვენებენ. აქვე არის მუზეუმი, სადაც შენახულია ძვირფასი ნაშთები. აკროპოლისის სამხრეთით დარჩენილია ბახუსას ტაძრის ნანგრევები, რომელიც წინად თეატრს წარმოადგენდა, გარეშემო საფეხურები იყო და შუაზე სცენა. ეს თეატრი იტევდა 30,000 კაცს. აკროპოლისის აღმოსავლეთით დარჩენილია ოლიმპეიონი ესე იგი ზევესის ტაძარი, რომლის შენება 530 წ. ქრისტემდე დაიწყეს და 130 წ. ქრისტეს შემდეგ დაამთავრეს. აქვე ახალი შენობაა მუზეუმისა, სადაც შენახულია ძველი ნანგრევებიდან ამოღებული ნაშთები. ცოტა მოშორებით აღმოსავლეთისაკენ მდებარეობს სტადიონი, რომელიც 330 წ. ქრისტემდე აგებულ იქმნა, როგორც სათამაშო ადგილი, სიგრძე 200 საჟენი აქვს და სიგანე 30 საჟენი, სულ მარმარილოთია მოფენილი და წინად 50,000 მაყურებელს იტევდა. 1896 წ. დანიშნული იყო აქ ოლიმპიის თამაშობა, რომელშიდაც მონაწილეობას იღებდენ ინგლისელები, გერმანელები. მაშინდლისთვის ათინელმა მდიდარმა ავეროვმა ხელახლა მოფინა მარმარილოთი სტადიონი, თავის ხარჯზე, აღმოსავლეთით აკროპოლისიდან მდებარეობს არეოპაგი (არეოპაგას), ძველად არეპაგი სამსაჯულო ადგილი იყო ათინელებისა, ამ ადგილას გერმანიის არხეოლოგიურმა ინსტიტუტმა ბევრი ძველი მხატვრობა და სხვა ნივთები აღმოაჩინა. დასავლეთით აკროპოლისიდან მდებარეობს სოკრატის ციხე.—ის ისტორიული ადგილი სადაც სოკრატი დატყვევებული იყო თავის მეგობრებთან ერთად.

ყველა აწერილს გარდა არის კიდევ ნაკლებათ შესანიშნავი ადგილები, რომელთა აწერას არ გამოუდგებით. ახლანდელი ათინა არაფერს საინტერესოს არ წარმოადგენს, მცხოვრებთა რიცხვი 130,000 უდრის. სანოვაგე ძლიერ იაფია, ღვინოები ძლიერ კარგი ღირსებისა და იმერულს წააგავს. ფული ხმარებაში ქაღალდის ძალიან ბევრია და ეს მგზავრისთვის არა სასიამოვნოა, რადგან დახურდავების დროს ქაღალდის ფულში უფრო ნაკლებს იძლევიან. ფრანგული და იტალიანური ფულის მიცემაც შეიძლება; ბერძნული ფული დრახმა ვერცხლის=38 კ. 1 ლეპტა=$1/2$ კ. ამჟამად ათინაში არსებობს სამი არქეოლოგიური ინსტიტუტი: ინგლისური, ფრანგული და გერმანული, რომელნიც იკვლევენ საბერძნეთის სიძველეებს და ბეჭდვენ პერიოდულ გამოცემებს შესახებ თავიანთ გამოკვლევისა. ამით თავდება ჩვენი აწერილობა ათინისა რადგან დრო არ გვქონდა უფრო დაწვრილებით გავცნობოდით ქალაქს.

1 აპრილს ნაშუადღევის 2 საათზე გემი გამოვიდა პირეიდან. პირეიდან ნეაპოლისაკენ ორი გზაა. ერთი კუნძულ კითერასთან და მეორე კორინთის სრუტე. კორინთის სრუტე გაჭრილია 1892 წ. ფრანგული კომპანიის ხარჯით. სიგრძე ერთ ვერსს უდრის და სიგანე $2^1/_2$ საჟენს. გემები ამ ადგილას ძლიერ ნელა მიდიან, რადგან ნაპირები თითქმის მიწას ხვდება, ამ ადგილას გემი ერთ საათს მოუნდა გასვლას. ამ გზით მარტო გერმანიის გემები დადიან, რადგან სხვა სახელმწიფოს გემები უფრო განიერი არიან და ამიტომ ვერ გაეტევიან. ამ გზით ნეაპოლში 12 საათით ადრე შეიძლება მისვლა, ვიდრე მეორე გზით. ამ ადგილას წინათ ნერონის ბრძანებით გვირაბი იყო გამოჭრილი და ვირებით საქონელი გამოქონდათ საბერძნეთში. ეს სრუტე ძალიან მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს და მისი გაჭრა რამოდენიმე მილიონი დაჯდა. სრუტეს რომ გასცდებით ზღვა ძლიერ წყნარია, ასე ორი საათის შემდეგ გემი გადის გაშლილ ზღვაში და უახლოვდება კუნძულ კეფალონიას და ცაკინთოს. ცოტა ზემოთ ჩრდილოეთით მდებარეობს კუნძული ლევკასი და კორფუ. ზედმეტი არ იქნება, რომ ამ უკანასკნელი კუნძულის აწერილობა გავაცნოთ მკითხველს. კუნძული კორფუ თავისი ბუნებრივი მდებარეობით საუკეთესო სამკურნალო ადგილია ადრიატიკის ზღვაზე, ბერძნულათ კორფუს კერკირას ეძახიან. სიგრძე 62 საჟ. და შუა ადგილზე სიგანე 30 საჟ. სივრცე 300 კვ. საჟენი. მცხოვრებთა რიცხვი 90,872. კუნძულს შუაში ორი მთის გრეხილი ჭრის, კუნძულზე ძლიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილი ზამთარი და მშრალი ზაფხული იცის. ვაჭრობა შემდეგი საქონლით სწარმოებს: ზეთის ხილით, ღვინით, ფორთოხლით, ლიმონით, ლეღვით, ნუშით, კარტოფილით, ერბოთი და თაფლით. ყველა ეს ნაწარმოები უხვათ იპოვება კუნძულზე. ამას გარდა ძალიან ბევრი სიმინდი მოდის, მთავარი სავაჭრო საქონელი კი ზეთის ხილია. ვენახი უმეტესად ხეებზე იზრდება და მაღლარის ღვინო მოდის. თავისი კოხტა ბუნებით და ჰაერით კორფუ დიდი ხანია იპყრობს ევროპიელების ყურადღებას; და ბევრ წარჩინებულ პირთ აქვთ აშენებული სასახლეები. ამ დაბოლო დროს გერმანიის იმპერატორმა ვილჰემმაააშენა საკუთარი სასახლე. სასიამოვნო იქნება, რომ კავკასიელებიც ყურადღებასაც მიიქცევდეს ეს მშვენიერი კუნძული და მონაკოში და მონტე-კარლოში კარტის თამაშის მაგივრად აქ ააგებდენ სამკურნალო სახლებს.

3 აპრილს დილის 5 საათზე გემმა მოუხვია სიცილიისაკენ და მესინის ვიწრო გასავალში შევიდა. გემიდან მარცხნივ მოსჩანდა ლამაზი ქალაქი მესინა, რომელიც სულ ფორთოხლის ბაღებით არის ამწვანებული. მარჯვენა მხარეზე ქ. რეჯიო, სადაც ცეცხლის მფრქვევი მთა მოსჩანს. ნაშუადღევის სამ საათზე უკვე გამოჩნდა ქ. ნეაპოლი. სანამ გემი ნეაპოლში შევიდოდეს გვერდს უვლის ლამაზ კუნძულს კაპრის, რომელზედაც ქვეყნის მილიონერთა, საზაფხულო სახლებია. ნეაპოლის დასავლეთით ზღვის ნაპირზე მოსჩანან ლამაზი სააგარაკო ქალაქები: სალერნო, სორენტო, ამალფი და კასტელამე. ნაშუადღევის 4 საათზე გემი შევიდა ნეაპოლის ნავთსადგურში, საიდანაც ძლიერ კეკლუცა სურათს წარმოადგენს ქ. ნეაპოლი თავის მეზობელ ვეზუვითურთ.

ნეაპოლი ულამაზესს ქალაქად ითვლება მთელ ევროპაში, აქ მცხოვრები იტალიელებიც თავისი ბუნებით ძლიერ განირჩევიან დანარჩენ იტალიელებისაგან, ცოცხალი და მუზიკალური ერთ დროზე ნეაპოლი განთქმული იყო, როგორც ყაჩაღთა ბუდე, რომელნიც სავაჭრო გემებს ეცემოდენ და სცარცვავდენ. დღეს თუმცა უფრო წყნარათ არიან, მაგრამ წინანდელი გაბედული ბუნება ნეაპოლიტანელის ისევ შენახულია. ნავთსადგურის მარჯვნივ მშვენიერი ბაღია, რომელსაც იტალიურათ „Uilla Nationale“-ს ეძახიან, ბაღიდან მშვენიერ სურათს წარმოადგენს გემებით აჭრელებული ზღვა. შუა ბაღში დიდ ქვითკირის შენობაში მოთავსებულია აკვარიუმი; ეს აკვარიუმი მთელ დედა-მიწის ზურგზე განთქმულია და ღირს რამოდენიმე მილიონი. მის სანახავად სპეციალურად ამერიკიდან და ინგლისიდან მოდიან. აქ ნახავთ ზღვის შესანიშნავ მცენარეებს და ცხოველებს. მისი დათვალიერება ღირს 2 ფრანკი ე. ი. 75 კ. და მისი უნახაობა ნეაპოლში ცოდვათ ჩაითვლება.

აკვარიუმიდან იწყება ელექტრონის ტრამვაის გზა მაღალ გორაზე, რომელიც ნეაპოლის ჩრდილოეთით მდებარეობს, ამ გზას ქვიან „Corso Uiqqtorio Emanuelle“. მაღალ გორაკიდან მთელ ნეაპოლს გადმოჩერებიხართ, განსაკუთრებით მშვენიერი სანახავია საღამოს, როდესაც მზე ჩადის, კოხტა ქალაქი, ლამაზი ზღვა და ვეზუვის მწვერვალი. როდესაც ამ გორაკიდან აღმოსავლეთით დაეშვებით ტრამვაი ჩერდება მუზეუმთან. ნეაპოლის მუზეუმიც შესანიშნავია, როგორც რომაული სიძველეთა საძღარო. შესვლა ღირს 1 ფ. ე. ი. 38 კ. მუზეუმში 3 განყოფილებაა. I—ძველი წარწერები და ქანდაკებანი, II—პომპეის მხატვრობა და ავეჯეულობა, მე-III სურათები. თქვენ შეძლება გეძლევათ 1 საუკუნოების მხატვრობა დაათვალიეროთ და გაკვირვებით შესცქეროთ დიდებულ ნაშთს ადამიანის ხელოვნებისას. აქვე ნახავთ პურს, რომელიც პომპეის ნანგრევებიდან გაქვავებული ამოუღიათ, აქვე ნახავთ ჭურჭელს, რომელსაც ძველი რომაელები ხმარობდენ. აქვე ნახავთ რკინეულობას, რომელსაც სანადიროთ და საოჯახოთ ხმარობდენ რომაელები, აქვე ნახავთ ქანდაკებას, რომელნიც ცოცხალ ადამიანს გიხატავენ წინ და რომელთა მშვენიერება აღტაცებაში მოგიყვანთ. მუზეუმის დათვალიერებას 5 საათი უნდებით, ეს დიდებული შენობა 1586 წ. სალდათების ყაზარმათ იყო აგებული, 1615 წ. შიგ უნივერსიტეტი მოათავსეს, 1780 წ. სამხატვრო აკადემია, 1790 წ. არქეოლოგიური მუზეუმი და ბიბლიოთეკა იყო. 1816 წ. ბევრი ძველი რომაული ნაშთები მოათავსეს შიგ და აქამდე უცვლელად დარჩა. მუზეუმიდან წამოხვალთ დასავლეთისაკენ და გამოხვალთ ფერდინადის მოედანზე (Piezza Ferdinando). ეს მოედანი წარმოადგენს უზარმაზარ შენობას, რომელიც გადახურულია სქელი შუშით და ირგვლივ მაღაზიებით და რესტორანებით არის შემორტყმული. უწინდელ რომაელებს ყოველ ქა-

ლაქში დიდი მოედნი ქონდათ, რომელზედაც საღამოობით იკრიბებოდენ, მუსაიფში და თამაშობაში ერთობოდენ. ეს ჩვეულება ახლანდელ იტალიელებსაც დარჩენიათ და იტალიის ყველა დიდ ქალაქებში შეხვდებით ასეთ დიდ გადახურულ მოედნებს. ნეაპოლის ფერდინანდის მოედანი საუცხოვო სანახავია საღამოობით, იგი ღამის 12 საათზე გავსილია მოსეირნეთაგან; მოსეირნეთა სმენას მშვენიერი იტალიანური მუსიკა ატკბობს; მდიდრული მაღაზიები ხიბლავენ მაყურებელთა თვალებს, აქვე იყიდება მშვენიერი მარჯანის ნივთები, რომლითაც განთქმულია ნეაპოლი.

თითონ ქალაქი ძლიერ ჭუჭყიანია, ქუჩები ვიწრო და ხშირათ $1^1/_2$ არშინ ნახევარზე მეტი არ არის სიგანით. ზოგგან ისეთი ვიწრო ქუჩებია, რომ საფრთხილოც არის გავლა, რადგან ქურდ-ბაცაცები სულ ამოგაცლიან თუ რამ გაბადიათ. სახლები ძლიერ მაღალია და ზოგიერთ ქუჩებში მზის შუქი სრულიად არ ანათებს, ამიტომ საძაგელი სუნი სდგას, რომელიც ხელს უწყობს ყოველ ნაირ გადამდებ სენს. დილით ქუჩაში ხშირად შეხვდებით მწყემსებს, რომელნიც თხის ფარას მოერეკებიან, ორ შაურათ უშველებელ ჭიქა რძეს მოგყიდიან, აქვე გამოწველის თხას და თბილ რძეს დაგალევინებს. ქუჩებში ყველგან სიმღერა და მუსიკა გესმით. გასაკვირველია ამ ხალხის საქმე, უკიდურესი სიმდიდრე და სიღარიბე ერთად მოთავსებულა და ხალხი კიდევ მხიარულ გუნებაზეა*). ზნეობა, როგორც საერთოდ ნავთსადგურის ქალაქებში ძლიერ დაცემულია. მაღაზიებში და ქუჩაში ძლიერ ფრთხილად უნდა იყოთ, რომ არ მოგატყუონ და არაფერი ამოგაცალონ. ამით ვათავებთ ნეაპოლის აწერილობას და შეუდგებით ნეაპოლის მიდამოების აწერას.

**მგზავრი.**

(გაგრძელება იქნება).

*) ალბათ ჩვენ მოქადაგე სოციალ-დემოკრატების სწავლა მოძღვრებას ვერ მიუხწევია, თორემ სულ სხვა სურათი გეჩვენებოდათ დღევანდელის ნაცვლად! დღემდის ვერ მიმხვდარან ნეაპოლიტანელები თუ რა არის ექსპროპრიაცია, რომელიც ჩვენში ასე მშვენივრად შეისწავლეს!?..

რედ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

იმერეთის საეკკლესიო საწყობთა სარევიზიო კომისია ამით უმორჩილესად გთხოვსთ გამოაცხადოთ თქვენ გაზეთში შემდეგი მოკლე ანგარიში იმერეთის საეპარქიო სანთლის საწყობისა: 14 აპრილს 1907 წელს ხსენებულმა კომისიამ ჩააბარა ახალ-გამგე მღვდელს სილოვანე შუბლაძეს 124 ფუთი და $29^1/_8$ გირვანქა სანთელი, ქაღალდი 12 გირვანქა და ბაწარი $14^1/_2$ გირვანქა; 14 აპრილიდგან პირველ ივნისამდე შემოსულა დამზადებული სანთელი 139 ფუთი $1^3/_4$ გირვანქა; ბაწარი 6 გირვანქა და სრულიად საწყობში ყოფილა 262 ფუთი და $30^7/_8$ გირ. სანთელი, ბაწარი $20^1/_2$ გირვანქა და სახვევი ქაღალდი 12 გირვანქა, აქედგან ივნისამდე გაყიდულა 163 ფუთი და $27^5/_8$ გირვანქა სანთელი და $5^1/_4$ გირ. ქაღალდი, ღირებული სულ 7857 მანეთი და 15 კ. რომელი ფულების ნაცვლად ნამდვილად შემოსულა 7807 მან. 96 კ; ე. ი. 49 მან. და 19 კ. ნაკლები, რაიც მიეწერება სანთლის შეშრობას. ივნისისათვის დამზადებული სანთელი რჩება 98 ფუთი და $2^1/_2$ გირ. ბაწარი $20^1/_2$ გირ. და სახვევი ქაღალდი $6^3/_4$ გირვანქა.

ამავე ხნის განმავლობაში ხსენებულ გამგეს, საწყობის გადაცემის დროს ნაღდი ჩაბარებია 154 მან. 1 კ., ამავე ხნის განმავლობაში დახარჯულა 6973 მან. 25., მაშასადამე ივნისისთვის რჩება ნაღდი ფული 1288 მან. 72 კ. და კასის წიგნაკით 1 მან. 55 კაპ.

კომისიის წევრნი:

**მღვ. ს. მჭედლიძე.**
**მღვ. კ. შანიძე.**
**მღვ. ამბროსი ფოფხაძე.**
**მღვ. ევსევი ჭოხონელიძე.**

*) ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს კომისიის წევრთა ეს ანგარიში. რა მიზნით არის იგი შედგენილი და რატომ სურვობენ წევრნი ამ ანგარიშის გამოქვეყნებას? ვისთვის და რისთვის არის იგი საჭირო? ჩვენ ვგონებთ, რომ ლობიოს მკითხავსაც გაუჭირდება გაიგოს ამ ანგარიშიდან ჩვენი სანთლის საწყობის მდგომარეობა. სარევიზიო კომიტეტი სამღვდელოებამ იმიტომ კი არ აირჩია, რომ ხანდისხან შეატყობინოს სამღვდელოებას თუ რამდენი შემოვიდა ჩამოქონილი სანთელი და რამდენი გაიყიდა, რამდენი იყო თოკი და ქაღალდი და რამდენი დაიხარჯა და ან რამდენი დარჩა.

## პრესსა

3 ივნისიდან ყველასგან მივიწყებულ „მოსკ. ვედ.“-ის პირველ გვერდზე ყოველ დღე იბეჭდებოდა დიდი ასოებით ერთი და იგივე სიტყვები: „ძირს საზიზღარი სათათბირო“! 3 ივნისიდან ყოველ დღე იმავე ადგილზე იბეჭდება ახალი ლოზუნგი: „ეხლა კი ყველაზე უწინ საჭიროა „კრამოლას“ განადგურება“. გაზეთი, რასაკვირველია რეცეპტსაც იძლევა 3 ივნისიდან გაზეთის აზრით.

„მთავრობისთვის ცხადია, თუ როგორ უნდა შეასრულოს მან მეფის ბრძანება და როგორ მოეპყრას „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს“.

მეფის ბრძანება „ყველაზე ადრე და ყველაზე უკეთესად“ შეუგნია „ჭეშმარიტ რუსთა“ გენერალს ჭეშმარიტ ქართველს, იალტის გენ.-გუბერნატორს დუმბაძეს, რომელსაც თავის „ჭეშმარიტი რუსობა“ ასე დაუმტკიცებია:

„25 მაისს იალტაში აკურთხეს „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირის დროშა. გენ. რომელსაც გულზე კავშირის ნიშანი ჰქონდა გაკეთებული, დროშა გამწკრივებულ ხალხის წინაშე ჩამოატარა, მერე აკურთხებინა და თავმჯდომარეს გადასცა. ამ დროს მუსიკა უკრავდა და ხალხი განუწყვეტლივ „ურას“ იძახდა.“

გრინგმუტმა, რასაკვირველია, იცის, რომ მარტო დროშების კურთხებით „მშვიდობიანობა“ არ დამყარდება და იქვე ბეჭდავს ვინმე პოლკოვნიკის ივანოვ მე 16-ს წერილს, რომელიც ასეთ საშუალებით აპირობს რუსეთის დამშვიდებას:

„საჭიროა გაროზგვა ქუჩაზე მოხეტიალე სტუდენტებისა, სემინარისტებისა და რეალისტებისა.

საჭიროა რუსეთის ყველა ქალაქებსა და მაზრებში დაარსდეს სამხედრო საველე სასამართლოები, რომელთაც შემდეგი უფლებები უნდა ჰქონდეს მინიჭებული: 1) სიკვდილით დასჯა, 2) ქონების ჩამორთმევა და 3) გაროზგვა. უყურეთ მაშინ როგორ ამოიძუებენ კუდებს ებრაელები, რომელნიც თავიანთ ხარჯით ინახავენ რევოლიუციას, კადეტები, რომელნიც ამხნევებენ რევოლიუციას, „შეგნებული“ გლეხი, რომელნიც ან ესსერებს ეკუთვნიან და ან ესდეკებს და უვიცი ქალაქელები, რომელთაც ცივილიზაციას შორიდან უსუნეს და tiers état-ს თამაშობენ.

მამულები უნდა ჩამოერთვას აგრეთვე მონაწილე გლეხებსა და მემამულე რევოლიუციონერებს და ეს ადგილები გადაეცეს ხაზინას. ჩამორთმეული მამულები მაშინვე უნდა გაიყიდოს საჯარო ვაჭრობით, ფული ხაზინას უნდა გადაეცეს სახელმწიფოს გასამაგრებლად. არა რუსების მამულების ყიდვა უნდა შეეძლოთ მხოლოდ რუსებს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

სათათბიროს დამცველებმა 3 ივნისს დილის 6 საათზე მიიღეს ბრძანება სათათბიროს დაშლის შესახებ, მაშინათვე გაჩხრიკეს შენობის ყველა ოთახი, დაკეტეს შესავალი კარები და სოც.-დემ., ს.-რევოლიუციონერების, მაჰმადიან დეპუტატების და მშრომელთა ჯგუფის ოთახები.

4 ივნისს სოც.-დემოკრ. ფრაქციის 39 დეპუტატს, რომელნიც დატუსაღებულნი არ არიან, უწყებები გაუგზავნეს და გამომძიებელთან დაიბარეს. 55 სოც.-დემ. დეპუტატის გარდა, სამართალში მიცემული აგრეთვე 14 მემარცხენე დეპუტატი, საეპარქიო სამსჯავროს გადაეცა 4 მღვდელი დეპუტატი და დაჯარიმებულია პერმიის გუბერნიის ორი დეპუტატი.

ყველაზე წინ დაატუსაღეს სათათბიროს წევრი ი. წერეთელი. იგი შაბათს ღამის 3 საათზე დაიჭირეს, როცა სათათბიროს დაშლის ამბავი წერე-

---

სამღვდელოებამ დააყენა წევრები მისთვის, რომ ყური უგდონ რიგიანად სანთლის დამზადებას, რომ სანთელი იყოს ყოველ მოთხოვნილების დროს ყველა ფასისა, გააფართოვოს ვაჭრობა და სამღვდელოებას შეატყობინოს რა სარგებლობა შემოდის სანთლის საქმის წარმოებიდან.? რის მქონებელია დღეს ქარხანა? ორ წელზე მეტი გავიდა და სამღვდელოებას არც დეპუტატების კრებაზე. და არც ისე კანონიერი ანგარიში არ მიეცა. კომიტეტის წევრნი ამბობენ რომ ფულები კასის წიგნით ამდენი და ამდენი არისო და გასესხებულ ფულებზე სრულებით არას ამბობენ,..

ამასთან საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ პირველად ჩვენ აგვირჩია კრებამ ამ კომისიაში, მაგრამ დღემდის არავინ შეგვატყობინა ვართ თუ არა მთავრობისაგან დამტკიცებული. სიტყვით გვითხრა სანთლის საწყობში მოსამსახურემ, მაგრამ ქაღალდი ვერ ვიხილეთ,—კანცელარიას ჩვენთვის არა გადმოუცია-რა და უქაღალდოთ საქმეს ვერ შეუდექით... მე არ გამიგონია კომისია უთავსმჯდომარეოდ და ამ კომისიაში კი ყველა თავსმჯდომარეობს!... რედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელმა არც კი იცოდა და პროტესტით მიმართა პოლიციელებს, რომლებმაც უპასუხეს, სათათბიროს წევრი აღარა ხართ, რადგან იგი უკვე დაშლილიაო. დილის 4 საათზე წერეთელი სატუსაღოში წაიყვანეს.

გაჩხრიკეს მშრომელთა ჯგუფის ფრაქცია, რადგან ეპვი ჰქონდათ მშრომელთა ჯგუფსა და ს.-რევოლიუციონერებს შორის ზოგიერთი წევრი საიდუმლოდ ემხრობა სოც.-დემოკრატებსაო. 3 ივნისს თავ-თავიანთ ბინაზე დაატუსაღეს ს.-რევოლ. ფრაქციის 6 წევრი. მათ შორის არხანგელსკი, შირსკი, დოლგოპოლოვი. დაატუსაღეს აგრეთვე სათათბიროს წევრები—კუზნეცოვი და ზიმინი.

სოც.-დემოკრ. დეპუტატების სიტყვით დატუსაღებულია თითქმის ნახევარი ფრაქცია—26 კაცი. მათგან წერეთელი და ჯაფარიძე დაატუსაღეს ფრაქციის სადგურში, დანარჩენები კი სხვა-და-სხვა ალაგას.

მშრომელთა ჯგუფის ბინაში პოლიციამ ხელში ჩაიგდო რამდენიმე ტომარა პარტიის პროგრამები, მოწოდებანი ხალხის მიმართ და სხვა და სხვა ქაღალდები.

სამართალში მიცემულმა სათათბიროს ზოგიერთმა წევრმა გაქცევა დააპირა. მათ შორის ოთხი კაცი რკინის გზის სადგურზე დაატუსაღეს.

მემარჯვენეების კლუბში 4 ივნისს საღამოს დიდი კრება მოხდა. ყველას აღფრთოვანება ეტყობოდა. კრება პატრიოტული მანიფესტაციით გაიხსნა. თავმჯდომარემ გრ. ბობრინსკიმ დასძახა „ურა“ ხელმწიფის პატივსაცემად. დამსწრეთ „ბოჟე ცარია ხრანი“-ს გალობით უპასუხეს. მიიტანეს შამპანიური და ღალიეს სხვა და სხვა სადღეგრძელო, გაუგზავნეს დეპეშები ხელმწიფესა და სტოლიპინს. აღტაცებით მიეგებნენ იმ გარემოებას, რომ ახალი საარჩევნო კანონი ამცირებს უცხო ტომთა უფლებას ანიჭებს „ნამდვილ რუსთ“.



## ახალი ამბები და შენიშვნები.

** ცირკულარი. საერო განათლების მინისტრს ახალი განკარგულება გაუცია. მინისტრი ატყობინებს თავის ხელქვეითებს, ახალ მოწაფეთა მიღების დროს დიდი ყურადღება მიაქციეთ მათ ქონებრივ მდგომარეობასაო. მინისტრის აზრით აუცილებლად საჭიროა მოწაფის ქონებრივი უზრუნველ-ყოფაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელმოკლე მოსწავლენი ერთ და იმავე დროს სწავლობენ კიდეც და საცხოვრებელ ლუკმა პურსაც საკუთარ შრომით შოულობენ, რაიც ხელს უშლის მათს მეცადინეობას. ზოგიერთი სასწავლებელი უკვე ასრულებს ამ განკარგულებას, პეტერბურგის უნივერსიტეტი აცხადებს, ვინც თხოვნასთან ერთად პირველ სემესტრის ფულს არ გამოგზავნის, მისი თხოვნა არც კი იქნება განხილულიო.

** ვლადივოსტოკიდან დეპეშით იუწყებიან: „ამურსა და ბაიკალის ოლქების საზღვრებზე ჩინეთი 100,000 სალდათს აგროვებს. მანჯურია ევროპიულად გაწვრთნილ ჯარებით გაივსო“.

** როგორც ვიცით, სემინარიის მეორე და მესამე კლასის მოწაფენი ამა წლის მარტის გასულს გაიფიცნენ ეგზამენების წინააღმდეგ. ამის გამო ისინი მთავრობამ სემინარიიდან დაითხოვა, ხოლო უკანვე დაბრუნების შესახებ თხოვნის მიცემის უფლება დაუტოვა; ამის ძალით მათ 15 აგვისტომდის უნდა მიმართონ თხოვნებით სემინარიის გამგეობას. მაისში გამგეობამ იქონია მსჯელობა გამორიცხულ მოწაფეთა მოწმობებში ყოფაქცევის ნიშნების ღასმის შესახებ. ამ გარემოებას შემდეგი საბედისწერო მნიშვნელობა აქვს: უკანვე მიღების შესახებ მსჯელობის დროს მოწაფეს, რომელსაც ყოფაქცევაში „სამი“ უზის, არას გზით აღარ დაუბრუნებენ. გამგეობის ამ სხდომას ყველა წევრი დაესწრო, დეკ. თალაკვაძის მღვ.გამრეკელის გარდა, უმრავლესობის გადაწყვეტილების თანახმად 20-ს მოწაფისთვის ყოფაქცევაში „სამი“ უნდა დაეწერათ და 50-სთვის კი—„4“. ამ აზრს არ დეთანხმნენ მასწავლებელნი: ი ფერაძე და მახათაძე და მღვ. ჩიჯავაძე, რომელთა აზრითაც მოწაფეებს ყოფაქცევაში „5“ უნდა დაესვათ. ექსარხოსმა გამეგობის ჟურნალი შემდეგის ცვლილებით დაამტკიცა:

ვისაც გამგეობამ მიუსაჯა "ოთხი", იმას მიეცეს „ხუთი", ხოლო „სამიანებს" — „ოთხიო"...

*** კავკასიის გუბერნატორები განმარტებას სთხოვენ ნამესტნიკს, ვინ უნდა იგულისხმონ რუსებად და რა ნაირად უნდა შეადგინონ სიები კავკასიაში დასახლებულ რუსებისა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისთვის.

*** რუსეთში უკვე დაიწყო საარჩევნო მზადება. ყველანი ემზადებიან მომავალ ბრძოლისთვის. „კადეტები" აგვისტოში კონგრესს აპირობენ. „სახალხო სოციალისტებს" ჯერ არ გადაუწყვეტიათ, მარტო გამოვლენ საარჩევნო ასპარეზზე თუ შეუერთდებიან სხვა მემარცხენე პარტიებს. მათ ცენტრალურ კომიტეტს დაუდგენია, მოიწვიონ საერთო კონფერენცია გლეხთა კავშირისა და მშრომელთა ჯგუფისა და ეცადონ, რომ სამივე პარტია შეერთდეს და საარჩევნო ბრძოლაში ერთად გამოვიდნენ. „ქეშმარიტ რუსთა" კავშირმა მარტო პეტერბურგის არჩევნებისთვის 12000 მანეთი გადასდო. დანარჩენ პარტიებს საბოლოოდ ჯერ არაფერი გადაუწყვეტიათ (რ. ს.)

*** სრულიად რუსეთის მემარჯვენენი დიდ ფაცა-ფუცში არიან თურმე. არ სჯერდებიან სათათბიროს გარეკას, საარჩევნო უფლების შეზღუდვას და კიდევ რაღაც სწადიანთ. ამ თვის პირველ რიცხვებში, როგორც ეხლა ირკვევა, მემარჯვენე ორგანიზაციებს და „შეერთებულ თავად-აზნაურთა" (ესეც მემარჯვენე ორგანიზაციაა) წარმომადგენლებს საგანგებო კრება ჰქონიათ თავიანთ მომავალ მოქმედებაზე მოსალაპარაკებლად. სხვათა შორის ამ კრებას დასწრებია უკვე სახელგანთქმული გურკოკ. კრების აზრით, როდესაც მესამე სათათბირო შეიკრიბება, მთავრობამ არც ერთი კანონ-პროექტი არ უნდა წარუდგინოს მას: სათათბირომ მხოლოდ უნდა შეიმუშაოს ის ზომები, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი იქნება რუსეთის დამშვიდება. როგორც ეტყობა, მემარჯვენეებს იმედი აქვთ, რომ ახალ სათათბიროში უმთავრესი შავ-რაზმელები მოჰყვებიან. კრებას ის აზრიც გამოუთქვამს, რომ მეორე სათათბიროს დათხოვნას და საარჩევნო წესების შეცვლა საკმაო არ არის; თუ მესამე სათათბირომ ვერ შესძლო ხალხის დამშვიდება, მაშინ რუსეთმა სრულიად ხელი უნდა აიღოს წარმომადგენლობით მართვა-გამგეობაზე და განაახლოს უძლიერესი თვით-მპყრობელობაო.

*** ტფილისში უმაღლეს კურსების მომწყობმა წრემ გადასწყვიტა უმაღლესი კურსები მოაწყოს სექტემბრიდან. კურსებზე ეხლავე ეწერებიან ბევრნი. ლექციების კითხვაზე კავკასიის შესახებ თანხმობა განაცხადეს პროფესორებმა მ. კოვალევსკიმ, მარრამ, ხახანაშვილმა, მალხაზიანმა, ხარჩენკომ, პირვ.-დოც. ი. ჯავახიშვილმა და სხვათა.

*** გაზეთი „ტოვარ" სწერს: „პოლიციის დეპარტამენტმა გადასწყვიტა, გაგზავნოს ტფილისში ორი თავისი აგენტი იმ ექსპროპრიაციის დაწვრილებით შესასწავლად და გამოსაკვლევად, რომელიც 13 ივნისს მოხდა ერევნის მოედანზე.

*** როგორც თიანეთის მაზრის სოფ. ახმეტიდან აცნობებენ „ნსარს" იქ 25 ივნისს ვიღაც უცნობებს მოუკლავთ მოხუცი მდედელი სიმონ ბოდაშვილი. მკვლელნი ჯერ ვერ აღმოაჩინეს.

*** 24 ივნისს, ღამის 2 საათზე, ბაკურცხესა და კოლაკს შუა, გზაში ორ უცნობს მოუკლავს ბაკურციხის ბოქაული ნაცვლიშვილი. მკვლელები საერობო დარაჯებს დაუხოცნიათ. ეს ნაცვლიშვილი წინად ქალაქში იყო ბოქაულად.

*** საარხეოლოგიო საზოგადოების დადგენილებით, ბ-ნი ექ. თაყაიშვილი ამ დღეებში ყარსის ოლქსა და არტანის მხარეს მიემგზავრება ქართულ სიძველეთა შესასწავლად. თუ მოასწრო თაყაიშვილი ჭოროხის ხეობისაკენაც წავა.

*** პეტერბურგის პოლიციას გამოუცხადებია, ვინც ვინმე ლუცენკოსა და ლაკუტისს დაგვაჭერინებს, ან მათ ბინებს გვაჩვენებს, საჩუქრად 125000 მანეთ მიიღებსო. რუცენკაცს „გნივან-"ის საზოგადოებიდან გაუტაცნია 180000 მანეთი, ლაკუტისს ყალბ ქაღალდებით სხვა და სხვა დროსა და სხვა და სხვა ადგილებიდან წაუღია 250000 მან. პოლიციაში გამოკიდულია ორივეს ფოტოგრაფიული სურათები. დილიდან საღამომდის პოლიციის ყველა უბნებს აუარებელი ხალხი აწყდება თურმე.

*** ტფ. მაზრის სოფ. მარტყოფში 9 ივნისს მოჰკლეს მარტყოფის სოფლის მამასახლისი ნიკოლოზ ბერიშვილი. მკვლელები ნაშუადამევს 1 საათზე გადაპარულან მამასახლისის ეზოში, აივანზე მწოლარესათვის გულში ხანჯალი ჩაუცია და იქვე მოუკლავთ. მკვლელები მიმალულან. მკვლელობაში ეჭვი მიუტანიათ ამავე სოფლის მცხოვრებ ივანე ეპიტაშვილსა და ალექსი იორდანაშვილზე, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელნიც სადღაც მიმალულან. ნიკოლოზ ბერიშვილს სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული. რამდენიმე წლის წინად იგი მამასახლისად იყო, შემდეგ სათავად-აზნაურო სკოლაში შევიდა აღმზრდელად. სასინოდო კანტორაში იყო საქმის მწარმოებლად. წელს სოფელმა ბამასახლისად აირჩია, არ უნდოდა წასვლა, მაგრამ ძალიან სთხოვეს და დაითანხმეს. განსვენებული კარგი კაცი იყო. როგორც ამბობე, მკვლელობა პირად ანგარიშით არის გამოწვეული.

⁂ გროზნაში, ნავთის სამრეწველოებზე, საზარელი ამბავი მომხდარა. სააგენტოს დეპეშა ამით გადმოგვცემს: „19 ივნისს დილით, როდესაც ნავთის სამრეწველოს შვიდ მუშას აპატიმრებდნენ, თავი მოიყარა აურებელმა მუშამ. მუშებმა მოიწადინეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება, ჯარისკენ მიიწევდნენ და ლანძღავდნენ. ორჯელ გაფრთხილებისა და სამჯერ ნიშნის მიცემის შემდეგ ჯარმა თოფები გაისროლა. ხალხი გაიფანტა. დარჩა ხუთი მოკლულის გვამი დ̃ თორმეტი დაჭრილი“.

⁂ 20 ივნისს. მთავარ სახელოსნოების მუშათა სადგომთან, ნაძალადევში. სახელოსნოების მცველმა ინგუშებმა (10 კაცმა) საშინელი სროლა ასტეხეს, რამაც მცხოვრებნი ძალზე დააფრთხო. მიზეზი შემდეგი ყოფილა: ამ დღეს, საღამოს 9 საათზედ, მუშათა სადგომის მახლობლად, მიმავალებულან ხელოსანი პავლოვი და მისი ამხანაგი ოპაჩენკო. ვილაცებს რამდენჯერმე რევოლვერი უსროლიათ პავლოვისათვის და სამგან დაუჭრიათ. უცნობებისთვის სროლითვე პასუხი გაუცია ოპაჩენკოს. ხმაზე გაჩენილან ინგუშები და აუტეხნიათ სროლა. პავლოვის გარდა სხვა არავინ დაჭრილა. მისულა ჯარიც და შესდგომიან ჩხრეკას. რამდენიმე კაცი დაუპატიმრებიათ.

⁂ სოხუმის საეპარქიო სამრევლო-საეკკლესიო სამოსწავლო საბჭოსთან არსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს აბხაზთა მწერლობის შემუშავება, აღძრა მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საბჭოს წინაშე, რომ მოწვეულ იქმნენ გამოცდილი სოფლის მასწავლებელნი, რომელნიც უნდა შეუდგნენ აბხაზურს ენაზე სამღრთო საეკკლესიო წიგნების გადათარგმნას. ამისათვის კომისია თხოულობს 3000 მან. იოანნე ოქროპირის წირვის წესი უკვე გადაუთარგმნია კომისიას და ნამესტნიკის სტამბაში გამოუგზავნია დასაბეჭდად.

⁂ სააგენტოს დეპეშა იუწყება რომ ტიხვინში ბანაობის დროს, სრულიად შემთხვევით დაიხრჩო საზაფხულოდ აქ ჩამოსული ტფ. სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე ივანოვი. დეპეშებში შეცდომაა: ივანოვი ინსპექტორად კი არა, მასწავლებლად იყო სემინარიაში.

⁂ სპარსელი ქართველები კიდევ ორს თვეს დარჩებიან ჩვენში და შემდეგ, ასე სექტემბრის პირველ რიცხვში, სპარსეთს დაბრუნდებიან. მათ სურთ მოიარონ საქართველოს უმთავრესი ნაწილები, ამასთან გადაწყვეტილი აქვთ, დაბა-ქალაქებში სალიტერატურო დილა თუ საღამოები გამართონ, რომ გააცნონ ყველას სპარსელ ქართველების ყოფაცხოვრება. ამ დღეებში გავლენ ქართლისკენ და შემდეგ იმერეთში გადავლენ. 29 ივნისს სალიტერატურო დილა გაიმართება ქ. გორში; კვირას, 1 ივლისს, დაბა ქიათურაში; 8 ივლისს ქუთაისში, შემდეგ ხონსა, ბათუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, სენაკსა და სხვაგან. ქართლ-იმერეთის მოვლის შემდეგ წავლენ კახეთისაკენ.

⁂ როგორც გორიდან გვატყობინებენ, 26 თიბათვეს დაუპატიმრებიათ სამოქალაქო სასწავლებელში კურს დამთავრებული იასონ გამდლიშვილი. როდესაც პოლიციამ ალყა შემოარტყა, გამდლიშვილს გაქცევა დაუპირებია, მაგრამ ცნობილ გუსაკოვსკის სროლა აუტეხნია. არავინ დაჭრილა. გამდლიშვილს კარგა ხანია დაეძებდნენ.

⁂ როგორც იწერებოდენ, მარტყოფის მამასახლისის ბერიშვილის მოკვლის გამო შეიპყრეს იორდანიშვილი და ეპიტაშვილი. „კ.“-ს სიტყვით, ბერიშვილის მოსაკვლელად იორდანიშვილი და ეპიტაშვილი წაუქეზებიათ ადგილობრივ მედუქნებს ბანილაშვილს, ჯერენაშვილს და სალახიას, რომელნიც დააპატიმრეს კიდეც. როგორც გაზეთი გადმოგვცემს, მათ შური უძიებიათ, რადგან ბერიშვილს, როგორც მამასახლისს, ადმინისტრაციის დავალებით, მათი დუქნები დაუკეტნია.

⁂ ტფილისში განზრახულ უმაღლეს კურსებზე ლექციების კითხვა დაიწყება სექტემბერს. კურსები მოეწყობა პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის სადგომში. თუ კურსებზე 200 მეტი ჩაიწერა მაშინ უფრო დიდ მოხერხებულ ადგილს მოსძებნიან. ლექციების კითხვა იქნება დილით 8-10 საათზე, ხოლო საღამოთი 6-9 საათზე.

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და გეთილ-ზნეობაზე.

## მეხუთე მცნება.

პატივეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა.

მეხუთე მცნება ღვთისა ავალებს შვილსა მშობელთ პატივის-ცემასა, რისთვისაც აღეთქმის შვილსა ქვეყანაზე კეთილი და დღეგრძელობა. ფრიად საყურადღებოა ეს მცნება ყოველი შვილისთვის... მშობელსა არ ამცნებს ღმერთი შვილის სიყვარულსა, ამიტომ რომ ეს სიყვარული მშობლის გულში უიმისოდაც ბუნებრივ ღრმად დანერგულია, არის მტკიცე და უცვლელი. მშობლის სიყვარული უზომოა. იგი თავ განწირულია შვილისთვის, იგი ჰფენს შვილს მხოლოდ კეთილსა. პურის მაგივრად არ მისცეზს იგი მას ქვასა, არც თევზის მაგივრად გველსა. მხოლოდ გარეშე მშობლის გულისა შეიძლება, რომ შვილს მოხვდეს მტრის ხელით გასროლილი ქვა, ან უკბინოს მას ბოროტების გველმა, ხოლო მშობლისგან ვერ წარმოსდგება რაიმე ამის მზგავსი მტერობა. მშობლის გონებიდგან და გულიდგან, დღე და ღამე, განუშორებელია შვილი. ბევრს კეთილ-ჰაზრობს ბევრს კეთილ-გრძნობს გონება და გული მშობლისა შვილის სასარგებლოდ. მშობელი ყოველთვის მზად არის თვითონ დაიკლოს საჭმელ-საცმელი და ეს ყოველი უწილადოს შვილსა. ყოველგვარი უბედურება შვილისა, დიდი თუ მცირე, სულიერი თუ ხორციელი, ლახვარივით გმირავს მშობლის გულსა. მას სურს, რომ მისი შვილი, არსება მისი სიყვარულისა, მოცული იყვეს, ყოველთვის და ყოვლისაგან, უვნებლობის ფარდითა.

დიდი და საღმრთოა მშობელთა და შვილთა შორის კავშირი, ბუნების ხელით შეკრული. დარღვევა ამ კავშირისა შვილის მხრივ წარმოადგენს ბუნების წინააღმდეგ დანაშაულობასა. ეს კავშირი უწყალოდ ირყევა, როდესაც შვილი უცხადებს თვის მშობელსა, მამას ანუ დედასა, ურჩობასა, აარსებს მას სიტყვით ანუ საქმით. ფრიად მძიმეს და სამწუხარო სურათს წარმოადგენს თვით გარეგანი სახე ურჩი შვილისა და მისგან გულნატკენი მშობლისა. აქ ცხადდება ძლევა ბოროტისა, ხოლო კეთილი უგუნურად განიდევნება. ურჩობა დიდად მავნებელი ბიწიერება არის ადამიანისთვის, მეტადრე მოზარდი-შვილისთვის, რომელიც, როგორც გამოუცდელი, ფრიად საშიროვებს უფროსის ხელთმძღვანელობას, რომ იქონიოს ჯეროვანი მსვლელობა ცხოვრების სარბიელზე. მეტადრე ეხლანდელ დროში მოზარდისთვის ბევრი მაცდურობის მახე არის გაბმული ყოველგან. ამიტომ მოზარდ-შვილსა დიდი სიფრთხილე მართებს რომ არ ჩავარდეს უბედურების უფსკრულში სხვა-და-სხვა მანქანებითა, რომელსაც დაუძინარი მტერი ხმარობს ადამიანთ სავნებელად. ამ განსაცდელის ასაცილებელი სახსარი მოზარდისთვის არის მორჩილობა, შესმენა და აღსრულება იმ კეთილ რჩევისა და დარიგებისა, რომელიც გამოდის მშობლის მოსიყვარულე გულიდგან. შვილი-მოზარდი დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ მშობელზე უკეთესს მეგობარსა ვერსად ვერ იშოვის. მშობელზე უკეთესად ვერავინ გამოუჩენს შვილის სიხარულსა ანუ მწუხარებასა, ამიტომ შვილი მოვალეა, რომ, ვიდრემდის ანდობდეს სხვასა თვის სიხარულსა ანუ მწუხარებასა, თვის წარმატებასა ანუ შეცდომასა,—აღიარებდეს მათ მშობლის გულთან, რომლისგანაც იგი მიიღებს უანგარო პასუხსა და თანაგრძნობასა.—მორჩილობა მოზარდისა აუჯობებესებს მის ხასიათსა, ამკობს მას სიმშვიდითა და სიწყნარითა, ხოლო ეს თვისებანი შეადგენენ ადამიანისთვის უძვირფასეს საუნჯესა. დიდად ბედნიერია მორჩილი, მშვიდი და წყნარი მოზარდი: იგი ყველგან და ყველასთვის საყვარელია; ყველგან და ყველასგან იგი მიიღებს ალერსსა, სიამოვნებას და ნუგეშსა. ხოლო ურჩი, გაუგონარი, თავნება, თავგასული მოზარდი-შვილი ყოვლად უბედურია.

ეხლა, როგორც ვხედავთ, ბევრი მოზარდი-შვილი, ურჩობის გამო, დგას უბედურების გზაზე.

ამ ბიწიერებას მოუშორებია იგინი მშობლის წია-
ღიდგან და გაუტაცნია შორს უგუნურების ღელე-
ში.. ამიტომ იგინი ვერ დაიმკვიდრებენ ამ ქვეყა-
ნაზე ვერც კეთილსა, ვერც დღეგრძელობასა. ასე
მავნებელია ბიწიერება ურჩობისა, რომელიც სწიხ-
ლავს და აუპატიურებს მშობლის მოსიყვარულე
გულსა, მისს უმაღლესს გრძნობასა და მზრუნვე-
ლობასა.

ფრიად საგრძნობელ სურათს წარმოადგენს ის
სახლობა, სადაც მშობელი—მოხუცი, ჯან-ღონეს
მოკლებული, დაუძლურებული, ჰპოულობს უკა-
ნასკნელს განსვენებასა და ნუგეშსა იმ მარჯვენაში,
რომელიც მას უშობნია და აღუზრდია, ნამდვილად
ღირსია ეს მარჯვენა დღეგრძელობისა და ყოვლისა
კეთილისა, რათა მისცეს მან თვის მშობელსა უკა-
ნასკნელი ვალი დღესა მის სიკვდილისასა, მიაბაროს
მისი გვამი მიწასა, ხოლო მის სულისთვის იყოს
მვედრებელი ღვთის წინაშე. ამ სახით უნდა
სრულდებოდეს მეხუთე მცნება ღვთის ქრისტიანე-
შვილთაგან.

შესანიშნავი და საყურადღებო ურჩობა შვი-
ლის მხრივ გამოცხადდა, როგორც მოგვითხრობს
საღმრთო წერილი, ებრაელთა მეფე დავითის სახლ-
ში. მეფე დავითსა ჰყვანდა შვილი აბესალომი. იგი
იყო ახალგაზდა და ლამაზი სახისა; მრთელ სახელ-
მწიფოში მისი მსგავსი სილამაზით არავინ იყო,
თმა ჰქონდა მას მეტად მდიდრული. იგი ყოველ-
წლივ იცლიდა თავიდგან თმასა რვა გირვანქამდინ.
მან განიზრახა მამის ღალატი, მოინდომა სამეფო
ტახტის მიღება. ამ სურვილის ასასრულებლად აბე-
სალომმა იხმარა სხვა და სხვა მანქანება. მოიპოვა
ერში მომხრენი და გამოუცხადა მამას ომი. დავით
მეფე შეწუხდა ფრიად, მაგრამ იძულებული შეიქმ-
ნა და გავიდა შვილთან საომრად. ამ მძიმე შეთხ-
ვევაშიაც არ დაჰკარგა მან მშობლიური სიყვარუ-
ლის გრძნობა მოღალატე შვილისადმი. ამიტომ
უბრძანა მან თვის მხედართ-უფროსთა, რომ ომის
დროს დაეცვათ აბესალომის სიცოცხლე. ბრძოლა
მოხდა ტყეში. მეფე დავითის ჯარმა დასძ-
ლია. ოცი ათასი მეშფოთარი ამოწყდა. თვით აბე-
სალომი გაიქცა. იგი ცხენს მიაჭენებდა მუხნარში.
ცხენმა გაიტაცა იგი ერთი დიდი მუხისკენ. გაშ-
ლილი თმა აბესალომისა შემოეხვია ამ მუხის ტო-
ტებზა; ცხენი ქვეშ გაუსხლტა და დარჩა ხის ტო-
ტებზე თმით ჩამოკიდებული. ამ მდგომარეობაში
მოჰკლეს იგი, გვამი მისი ჩააგდეს ორმოში და წა-
აყარეს მიწა-ქვა, ხოლო ჯარი მისი გაიფანტა.
ასე დასრულდა ცხოვრება მამის მოღალატე შვი-
ლისა, ასე დაისაჯა იგი მამის შეწუხებისთვის.—
მშობელმა—მამამ მაინც კიდევ დაღვარა მისთვის
ცრემლი გლოვისა და მწუხარებისა, რადგანაც
ღრმად არის მშობლის გულში შემოქმედისგან და-
ნერგული გრძნობა სიყვარულისა შვილთადმი.—
კარგი და სასიამოვნოა მშობლისთვის გარეგანი
მშვენიერება შვილისა, მაგრამ უფრო სასიამოვნოა
შინაგანი მშვენიერება—კეთილ ზნეობა, რომელიც
აგონებს შვილსა მშობლის პატივისცემასა.

ი. ბაღუევი.

## რედაქციისაგან.

ხშირად მოგვდის წერილები ჩვენი ჟურნალის
ხელის მომწერთაგან, რომელშიაც საყვედურს ითვ-
ლევნებიან, რომ ჟურნალი „მწყემსი" არ მიუდის
მათ თავის დროზე. ზოგიერთები იწერებიან, რომ
სრულებით არ მიუღიათ არც ერთი ნომერი. ვაც-
ხადებთ საყოველთაოდ, რომ რედაქცია ყოველთვის
თავ თავის დროზე გზავნის ადრესებისამებრ, მაგრამ
სადაც რკინის გზის სადგურებზე მიდის გაზეთები
თუ ადრესატი წინდა წინვე არ არის მოლაპარიკე-
ბული ვინმესთან, რომ მის სახელზე მოსული გა-
ზეთი მიიღოს და შეუნახოს ადრესატს, რასაკვირ-
ველია, სამ ოთხ დღეში ვინც წაავლებს ხელს წაი-
ღებს და ბოლოს სრულებით აღარ აბრუნებს უკან
და იკარგება. ამისათვის ადრესატმა უნდა იყო-
ლიოს ვინმე ნაცნობი, რომ მან მიიღოს და შეუ-
ნახოს ან გაუგზავნოს ადრესატს. ზოგიერთები ფუ-
ლებს გზავნიან, მაგრამ ავიწყდებათ და არ იწერე-
ბიან სად გაეგზავნოს გაზეთი. მაგალითებრ მღვ.
კირილე დანელიამ გამოგზავნა, სამი თვე მეტია,
გაზეთის ფული, მაგრამ არ იწერება თუ, სად გაუ-
გზავნოთ გაზეთი და ამიტომ არ მიდის. როცა გა-
ზეთი არ მიუდის ვისმეს უნდა მალე აცნობოს რე-
დაქციას ეს გარემოება და ამისათვის ხომ სამი კა-
პეიკის მეტი საჭირო არ არის?

# ОТЪ САМАРСКАГО КОМИТЕТА ОБЩЕСТВЕННОЙ ПОМОЩИ ГОЛОДАЮЩИМЪ

Самарскій Комитетъ Общественной Помощи Голодающимъ вновь взываетъ къ обществу о помощи голоднымъ. Комитетъ надѣялся закончить компанію безъ новаго призыва къ пожертвованіямъ, но положеніе дѣла вынуждаетъ къ тому. Къ 1-му мая въ кассу Самарскаго Комитета поступило всего 138464 руб. 74 коп., считая въ этой суммѣ 44666 руб. отъ Вольно-Экономическаго Общества и 7500 рублей отъ Пироговскаго Общества, израсходовано къ 1-му мая 102317 руб. 37 коп. Наличность кассы 36147 рублей 17 коп. Пользовалось въ столовыхъ и на дѣтскихъ пунктахъ Комитета къ тому-же 1-му мая 19660 человѣкъ. Къ 15-му мая эта цифра уже поднялась до 22279 человѣкъ. Приростъ столующихся вслѣдствіе обостренія нужды въ селеніяхъ, въ которыхъ дѣйствуютъ столовыя Комитеты и вслѣдствіе открытія столовыхъ въ новыхъ пунктахъ съ января мѣсяца выражается въ слѣдующихъ цифрахъ:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| Къ 1-му | февраля | кормилось | 10207 | чел. въ | 59 сел. |
| „ „ | марта | „ | 13513 | „ | 65 „ |
| „ „ | апрѣля | „ | 16505 | „ | 70 „ |
| „ „ | мая | „ | 19660 | „ | 74 „ |

Такимъ образомъ ежемѣсячный приростъ колебался отъ 20 до 32% столующихся. Съ началомъ весны и приближеніемъ лѣта Комитетъ обратилъ особенное вниманіе свое на дѣтей перваго возраста до 3—5 лѣтъ, которыхъ голодовка вообще и настоящаго года особенно обрушилась съ особенной тяжестью: усиленная смертность, усиленная болѣзненность дѣтей, рѣзко выраженныя формы скорфулеза, рахита, атрофіи, рѣзко бьющія въ глаза сопровождающія явленія настоящей голодовки. Помимо того, Май—Іюнь до новаго урожая является наиболѣе острымъ и тяжелымъ періодомъ для голодающаго населенія: о какихъ либо запасахъ говорить нечего, все что можно было продать и проѣсть—продано и съѣдено; выдача Правительственной ссуды заканчивается въ маѣ мѣсяцѣ.

Все это вынуждаетъ Комитетъ исчислять приростъ столующихся на май—іюнъ по мѣньшей мѣрѣ въ 20%, т. е. быть готовымъ кормыть въ концѣ мая до 23500, а въ іюнѣ до 28200 человѣкъ. При такомъ расчетѣ Комитету для окончанія компаніи не обходимо еще около 90000 рублей, а въ кассѣ Комитета всего 36000 рублей, слѣдовательно не достаетъ 54000 рублей.

Куда обратиться Комитету за помощью. Кассы центральныхъ организацій Самарскаго Комитета, подъ Флагомъ коихъ онъ работаетъ Вольно-Экономическаго Общества и Пироговскаго Общества, также истощены и почти пустуютъ. И Самарскій Комитетъ вновь рѣшилъ обратиться за помощью къ общеутву. Общество наиболѣе вѣрный, неизмѣнный, преданный и сильный по средствамъ радѣтель и попечитель голодныхъ. Средствами общества притекавшими въ нашъ Комитетъ со всѣхъ концовъ Россій—до сихъ поръ кормились и кормится болѣе 22000 человѣкъ, оно же своими средствами поддержитъ «своихъ» голодныхъ и впредь до новаго урожая. Пусть вѣритъ Комитету Общество, какъ оно вѣрило до сихъ поръ, что каждая копѣйка идетъ на поддержаніе существованія истино голознаго, на предупрежденіе голодныхъ болѣзней и смертей, на облегченіе физическихъ и моральныхъ страданій голодающихъ.

**Не откажите завершитъ великое дѣло помощи голодающимъ поддержите голодныхъ до новаго урожая.**

Комитетъ выпустилъ изъ печати № 1 отчетныхъ свѣдѣній и на дняхъ выйдетъ изъ печати № 2 съ перечнемъ всѣхъ жертвователей.

желающихъ получить отпечатанныя отчетныя свѣдѣнія просятъ сообщать свои адреса.

Пожертвованія просятъ направлять по адресу: Самара, Губернская Земская Управа, казначею Комитета Общественной Помощи Голодающимъ **В. К. Ромодановскому.**

Предсѣд. Бюро Комитета **М. М. Гранъ.**

---

## ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ.

**ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ:** სრულიად საქართველოს სამღვდელოების საყურადღებოდ, დეკ. დ. ღამბაშიძის.—ნაკლი და საჭირებანი ჩვენი საქალებო ეპარქიალურ სასწავლებლებისა, გან—ხან.—ბათომიდან ნეაპოლამდე გემით მოგზაურობა, მგზავრის.—წერილი რედაქციის მიმართ.—პრესსა.—ჟურნალ გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲜᲒᲠᲘᲒ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐᲡᲐ** და **ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲬᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ:** მეხუთე მცნება, ი. ბალუევის. განცხადება.

---

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, 30 ივნისი, 1907 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.